განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზეც საქართველოს მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან შესაძლებლობა აქვს არჩეულ იქნას საქართველოს პარლამენტის წევრად, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც დაბადებულია და ბოლო ხუთი წელი უცხოვრია საქართველოში უფლებამოსილება ენიჭება მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში, როგორც პასიური ასევე აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების ასახავა საქართველოს კანონმდებლობაში, ასევე საერთაშორისო დამკვირვებლებთან დაკავშირებული რაოდენობრივი შეზღუდვის მოხსნა. კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების ასახვა საარჩევნო კოდექსში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში შედის ცვლილება, რომლითაც საქართველოს კანონმდებლობაში აისახება ის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები, რის საფუძველზეც განახორციელებენ თავიანთ საქმიანობას საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები. მე-6 პუნქტის შესატანი ცვლილებების შესაბამისად ასევე იხსნება საერთაშორისო დამკვირვებლებთან დაკავშირებული რაოდენობრივი შეზღუდვა. ასევე ცვლილებები ეხება 111-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტის წევრად 21 წლის ასაკიდან საქართველოს მოქალაქის არჩევას. კანონს ემატება 185[1] მუხლი, რომელის მიხედვითაც ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც დაბადებულია და ბოლო ხუთი წელი უცხოვრია საქართველოში უფლებამოსილება ენიჭება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, როგორც პასიური ასევე აქტიური უფლების გამოყენებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

სახელმწიფო ბიუჯეტი

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს რაიმე ახალ ფინანსურ ვალდებულებას

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები პალიკო კუბლაშვილი აკაკი მინაშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები პალიკო კუბლაშვილი და აკაკი მინაშვილი